ხვალ, 22 მარტს, ჩვენს მუნიციპალიტეტს ისრაელიდან ქალაქ რამლას დელეგაცია ესტუმრება. დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება ხაშურისა და რამლას დამეგობრების შესახებ.

ხაშურის მოამბე

№11 (42) 21 მარტი, ორშაბათი, 2016 წელი

აღმოაჩინეთ რამლა

თუ გსურთ ნახოთ სიძველისა და სიახლის საოცარი შერწყმა, თუ გსურთ, თვითონ იგრძნოთ ის განუმეორებელი სითბო, რომელსაც მთელი ქალაქი და მისი მაცხოვრებლები ასხივებენ,

თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ ქალაქი რამლა, რომელიც მსოფლიოს 55 ქვეყნიდან ჩამოსული ემიგრანტებითაა დასახლებული. ჩვენს ქალაქში 80 ათასი კაცი ცხოვრობს და ესაა მაგალითი როგორ შეიძლება ჰარმონიულად იცხოვრონ ებრაელებმა და არაბებმა ერთად. უძველესი და დიადი ისტორია რამლას ძალიან მიმზიდველს ხდის ტურისტებისთვის. ისტორიული ძეგლების მრავალფეროვნება, შესანიშნავი სასტუმროები თუ რესტორნები მუდამ მზად არიან ნებისმიერი რანგის სტუმარს უმასპინძლონ.

უკანასკნელ წლებში რამლა ოლქის ნამდვილ დედაქალაქად და ისრაელის გულად იქცა, ქალაქის ყოველწლიური განახლება-გალამაზება კი მუდმივი პროცესია. იქმნება ათასობით სამუშაო ადგილი, შენდება თანამედროვე სამრეწველო ობიექტები. ქალაქის მუნიციპალიტეტი ყველაფერს აკეთებს მისი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, მათი მომსახურების დონის ამაღლებისთვის. ამისთვის ყოველწლიურად მილიონობით შეკელი იხარჯება და მილიონობით შეკელის ინვესტირება ხდება. ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კულტურული პარკებისა და სკვერების გაშენება, საზოგადოებრივი შენობების მოდერნიზება, ახალი საცხოვრებელი კვარტლების აშენება, განათლების ხარისხის ამაღლება, ათასობით სტუდენტის მხარდაჭერა, ეს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური საზრუნავია. ჩვენ ვამაყობთ, რომ ბევრი შევძელით და გვჯერა, უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია ქალაქისათვის.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქალაქი, გვჯერა მისი საუკეთესო მომავლის და დარწმუნებულნი ვართ, ხვალ ის უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდება. ამიტომაც სიყვარულით გიწვევთ ყველას ჩვენს ქალაქში, აღმოაჩინეთ რამლა, დატკბით სიძველეებით და მიიღეთ საუკეთესო მომსახურება. გარწმუნებთ, მისი შარმით სამუდამოდ მოხიბლულნი დარჩებით.

სიყვარულით, ყოველთვის
თქვენი იოელ ლავი,
ქალაქის მერი

(გამოყენებულია რამლის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მასალა)

ქალაქი, რომელსაც საუკუნეების ისტორია აქვს

ქალაქი რამლა ისრაელში, თელავივის აღმოსავლეთით, 24კმ.-ში მდებარეობს. ქალაქის დასახელება წარმოიშვა არაბული სიტყვისაგან და ნიშნავს სილას. 716 წელს ქალაქს საფუძველი ჩაუყარა ხალიფა მუსლიმმა, რომელსაც სურდა, რომ რამლა გამხდარიყო პალესტინის დედაქალაქი, მეზობლად მდებარე ქალაქ ლიდის მაგივრად. მისი მმართველობის დროს აშენდა ციხესიმაგრის კედლები, ბაზარი და დიდი მეჩეთი. ამ ნაგებობებს შორის დღემდე შემორჩენილია 27 მეტრიანი მინარეთი „თეთრი კოშკი", რომლის მშენებლობაც დაასრულა



მე-13 საუკუნეში ბეი ბარსმა. მუსლიმური ტრადიციის თანახმად, თეთრ მეჩეთში დამარხულია წინასწარმეტყველი მუჰამედის 40 თანამოაზრე. ორი საუკუნის შემდეგ ისტორიკოსი ალ-მუქადასი ასე აღწერს მეჩეთის მშენებლობას: „რამლას მთავარი მეჩეთი განლაგებულია ბაზარზე. ის უფრო ლამაზი და მოხდენილია, ვიდრე დამასკოში „ომეიადოვის" მეჩეთი. მთელ ისლამში არ არის უფრო დახვეწილი სამლოცველო ნიშა, ვიდრე აქ. მისი კათედრა არის ყველაზე შესანიშნავი იერუსალიმის კათედრის შემდეგ. მას ასევე ძალიან ლამაზი მინარეთი აქვს. მე მოვისმინე ჩემი ბიძის მონაყოლი, როდესაც ხალიფამ გადაწყვიტა მეჩეთის მშენებლობა, მას შეატყობინეს, რომ ქრისტიანებს ქვიშაში ჩამარხული აქვთ თეთრი მარმარილოს სვეტები, რომლებიც მათ მოამზადეს ეკლესიის ასაშენებლად. ხალიფამ მოსთხოვა ქრისტიანებს ეჩვენებინათ მისთვის დამალული სვეტები, წინააღმედგ შემთხვევაში, ის დაუნგრევდა წმინდა გიორგის სახელობის მართმადიდებლურ ეკლესიას და მის სვეტებს გამოიყენებდა მეჩეთის მშენებლობაში.

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ქალაქი, რომელსაც საუკუნეების ისტორია აქვს

შესაბამისად, მეჩეთის ძირითადი შენობა მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოთი, ძირითადი შენობის კარები გაკეთებულია კიპარისისა და კედრის ხისაგან, რომელსაც აქვს საოცრად ლამაზი ორნამენტები.

ჯვაროსნული ლაშქრობების დროს რამლა იყო მოწინავე ციხესიმაგრე ჯვაროსნებისათვის, სახელწოდებით – რამეს. მას ასევე შეცდომითაც ეძახდნენ არი მაფეის. იმაჟამად ასევე წარმოიშვა ფეოდალური „სენიორია",ცენტრით რამლაში,რომელსაც მართავდა რაინდი იბელინების საგვარეულოდან. 1187 წელს ქალაქი დაიპყრო სალადინმა. ამ დროს მთლიანად განადგურდა ქალაქის დამცავი კედლები და დანგრეული კათოლიკური ეკლესიის ადგილას აშენდა მეჩეთი.

1229-1260 წლებში ქალაქის მმართველობის სადავეები ისევ იბელინთა საგვარეულოს ხელში აღმოჩნდა. XIV საუკუნიდან რამლა ისევ ხდება მსხვილი სავაჭრო ცენტრი წარმატებული ებრაული სათვისტომოთი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1789 წელს რამლაში განლაგებული იყო ნაპოლეონ ბონაპარტის უმაღლესი მთავარსარდლობა. ოთახი სადაც გაჩერდა მომავალი იმპერატორი, შეგიძლიათ მოინახულოთ წმინდა

ნიკოდინის და იოსების ფრანცისკანულ მონასტერში. ეს ადგილი ტურისტული ღირსშესანიშნაობებიდან ერთ-ერთია. ქალაქ რამლას მოსახლეობის რიცხვი და ეთნიკური მრავალფეროვნება სხვადასხვა დროს მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა. ისრაელის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს (ჩ შ) 2009 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა 65 700 შეადგენს. აქედან, ეთნიკური მრავალფეროვნების მხრივ ქალაქში 80% ებრაელია და 20% არაბი (16% მუსლიმი არაბი და 4% ქრისტიანი არაბი). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1068 წელს უდიდესმა მიწისძვრამ თითქმის გაანადგურა ქალაქი, დაიღუპა 15 000-25 000 მცხოვრები. ქალაქი მიტოვებული იყო 4 წლის განმავლობაში და მას შემდეგ რამლას უწინდელი სტატუსი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა აღარ დაუბრუნებია. სწრაფი ზრდა შეინიშნებოდა ასევე ბრიტანული მანდატის დროს მე-19 საუკუნის დასასრულს, 1945 წლისათვის 1200 მუსლიმს და 3300 ქრისტიან ოჯახს მიაღწია.

ქალაქში არის 31 სკოლა და 12 000 სტუდენტი. აქედან, 22 დაწყებითი სკოლაა, 7 700 მოსწავლით და ცხრა უმაღლესი სკოლა 3 800 სტუდენტით. რამლაში მოქმედებს ტექნიკური კოლეჯი. 2011 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქალაქში გახსნილიყო 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისში ბარ-ილანის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალი. „ღია სახლი" არის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ებრაელი და არაბი ბავშვებისათვის. ცენტრი ასევე უძღვება სასწავლო პროგრამის ფარგლებს გარეთაც არსებულ პროგრამებს ებრაელი, ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვებისათვის.

რამლას სარკინიგზო სადგური,რომელიც 1891 წლის აპრილში ამოქმედდა, უზრუნველყოფს საათობრივ მომსახურებას თელ-ავივი-იერუსალიმის ხაზზე. სადგური მდებარეობს ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთით, მისი ხელახლა გახსნა მოხდა 2003 წლის 12 აპრილს.

ბენ გურის სახელობის აეროპორტიდან ახლოს აღმოაჩენთ უეცარ მარგალიტს, ქალაქ რამლას, რომელიც ძალიან ნაკლებადაა ცნობილი მასობრივი ტურიზმისათვის. იმათთვის ვინც მიფრინავს ბენ გურის აეროპორტიდან, შესაძლებლობა ეძლევათ შეიარონ ამ სიძველეებით სავსე ქალაქში და დაათვალიერონ. თქვენ ნამდვილად მოიხიბლებით მიწისქვეშა რეზერვუარებით, რომელიც აშენებულია 789 წელს ჩვ. აღ. 8 საუკუნეში, სადაც შეგიძლიათ დაიქირავოთ ნავი უფასოდ და იცურაოდ ქალაქის ქვეშ. ეს მასიური მიწისქვეშა რეზერვუარი აშენებულია ხალიფა ხარუნა-ალ რაშიდის მიერ. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მიწისქვეშა ტბამ მიიღო სახელწოდება „წმინდა ელენა". ნამდვილად მისტიკური მოგზაურობა გელით, იდუმალებით მოცულ თაღებში, თქვენს მაღლა ქალაქი კი ჩვეულ ცხოვრებას გააგრძელებს.

<u>რას წერდა ადგილობრივი გაზეთი 6 ათეული წლის წინ</u>

ბედნიერი ოჯახი

რიბკა და ისრაელ ჯანაშვილებს 12 შვილი ჰყავთ, მათ შორის, ათი ვაჟი და ორი ქალიშვილი, 12 შვილი! ყველა ჯანმრთელი, ბედნიერებისა და სიხარულის უშრეტი წყაროა ჯანაშვილების ოჯახში. გმირი დედა 51 წლისაა, ხოლო მისი მეუღლე ექვს ათეულ წელს ითვლის.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელი შვილი რამდენი წლისაა და რა შრომით საქმიანობას ეწევა, ისრაელმა ხალისით გასცა პასუხი, მხოლოდ ცდილობდა არ დაერღვია თანმიმდევრობა: უფროსი ვაჟი შალვა მეჩექმეა, მისი ნახელავი ლამაზია და გამძლე, წამოიზარდა თუ არა, მხარში ამოუდგა მამას, მისი მომდევნო რუბენი სტალინგრადის ერთ-ერთი ქარხნის ელექტრომონტიორია; ბინია თბილისში დასახლდა, იგი პროფესიით მეჩექმეა, მაღალკვალიფიციური მუშაა; მორდეხს მუსიკის ნიჭი გამოჰყვა და შესანიშნავად უკრავს კლარნეტზე, როცა პროფესიის არჩევაზე მიდგა ჯერი, ორ უფროს ძმას მიბაძა დავითმა, მან მეჩექმეობა აირჩია, ახლა იგი ქუთაისში ცხოვრობს და სრულყოფს თავის სპეციალობას, ითვალისწინებს მშობელთა სურვილებს, გემოვნებას, მოთხოვნილებას; ქალიშვილი ხავა გათხოვდა, ცალკე მოაწყო ოჯახი; საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფება სიმონი, დღესასწაულის წინა დღეებში მშობლებმა მას გაუგზავნეს ამანათი _ ხილი, ჩურჩხელები. შიმამ შვიდწლედი დაამთავრა და დედას ეხმარება საოჯახო საქმეებში, სწავლობს ჭრაკერვას. სწავლაში სიბეჯითეს იჩენენ გაბო და მიხა, ისინი წარმატებით სძლევენ პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; მიხა _ ჯანაშვილების მეათე შვილია, გმირობის მომნიჭებელი, მათი მომდევნო ძმები მცირეწლოვანები არიან, რაფიელი ექვსი წლისაა, ხოლო არონი _ ოთხის.

ბედნიერ დედას რიბკას მკერდს უმშვნებს „სახელოვანი დედის" პირველი და მეორე ხარისხის ორდენები, გმირი დედის ოქროს ვარსკვლავი, მედლები. სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მას, როგორც მრავალშვილიან დედას, მიღებული აქვს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი.

ე. ბლუაშვილი,
„გაზეთი „გამარჯვების გზით",, 1958 წელი.

მეწაღე აბრამი - სიკეთისთვის დაბადებული კაცი

ომის და ამის შემდეგ ასეთი პროფესია –მეწაღეობაც იყო. ვის ჰქონდა ახლის ყიდვის (ან სად იყო) თავი. თითო ფეხსაცმელი ხუთჯერ და მეტჯერაც კერდებოდა. ჰოდა, იყო ერთი კეთილი მეწაღე აბრამი, სიკეთისთვის დაბადებული ებრაელი კაცი. კაცი კაფანდარა, ჭაღარა წვეროსანი, ტკბილად მოუბარი (ყველას მსგავსად დახეულ-დაგლეჯილი სამოსით), ხელებდაკოჟრილი და დაჩხვლეტილი თითებით. ძია აბრამს მხარზე მუდამ ჯვალოს ნაჭრის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, რომელიც ავსებული იყო ათასგვარი ხარახურით (დახეულ-დაგლეჯილი წაღებით, ჩუსტებით, რეზინის, ტყავის, საბურავების ნაჭრებით, მახათებითა და სადგისებით, ნემსებითა და ძაფებით); მკლავი კი ყოველთვის პატარა კალათში ჰქონდა გაყრილი. თუ რამეს გაცვლიდა, იქ ინახავდა. ფული არავის ჰქონდა, ამიტომ დაკერებაში ვინ კვერცხს, ვინ მწვანილს, ხახვს, ნიორს, ყველს აძლევდა. თუ ვისმეს ესეც არ ჰქონდა, ძია აბრამი ცრემლიანი თვალებით ეტყოდა ხოლმე: არაუშავს, შვილო, არ იდარდო, დღეს არ გექნება, ხვალ მომეცი. თუ ვერ მომცემ, აბრამ ძიას გული და ხელები დაგენაცვლოს, ფეშქაშად მომირთმევიაო.

კვირაში ორ-სამჯერ შემოივლიდა ხოლმე ჩვენს უბანში ეს კეთილი კაცი. გადმოუხვევდა თუ არა ბორჯომის ქუჩიდან, თბილი, მოღაღანე ხმით შემოსძახებდა: დავაკეროთ, შევკეროთ, გავცვალოთ... ჩავიბარებ ძველ ჩუსტებს, წაღებს, ქალამნებს... ძველმანებს. ნუ აჩქარდებით, შვილებო, ძია აბრამს არსად აგვიანდება, თქვენს სამსახურში ვდგავარო. აბრამ ძია, რატომღაც ჩემს სახლთან ჩაიმუხლებდა, ჭიქა წყალს მოითხოვდა, ჩაარაკრაკებდა, გულს გაიგრილებდა, სპეტაკ წვერზე დაკოჟრილ ხელს ჩამოისმევდა და



მლოცავდა, იმდენ წელს იცოცხლე, შვილო, რამდენი წვეთიც ჩავარაკრაკეო. დღის ბოლომდე უბანში იყო, დაკვეთებს იღებდა, ზოგჯერ იქვე აკერებდა, მერე გავსებული ჩანთით და კალათით ჩაქჩაქით გაუყვებოდა სურამის გზას. კეთილი ებრაელი ყველას უყვარდა უბანში, ძაღლებიც კი არ ყეფდნენ, ეალერსებოდნენ და კუდის ქიცინით მიაცილებდნენ სახლიდან სახლამდე.

რ. სავანელი

ისრაელის გაკვეთილები საქართველოსათვის

საქართველო და ისრაელი - ეს არის ორი უძველესი ბიბლიური ქვეყანა, რომელსაც, აგერ უკვე 26 საუკუნეა ერთმანეთთან მეგობრობის და პატივისცემის, თანასწორი ურთიერთობების უიშვიათესი ტრადიციები გააჩნიათ.

ამ ორი ერის ურთიერთობა სწორედ რომ სამაგალითოა დღევანდელი აშლილი და აწეწილი მსოფლიოსათვის, მათ შორის წამყვანი და დიდი ერებისთვისაც.

„საქართველო – ეს არის თანამედროვეობის უდიდესი სასწაული, რომლის შედარებაც შეიძლება მხოლოდ ისრაელთან. ის არის არა მხოლოდ ძველი ცივილიზაცია. ის არის ცოცხალი ცივილიზაცია. შეხედეთ ათენსა და რომს. მათ წარსულს არავითარი კავშირი არა აქვს მათ თანამედროვეობასთან, საქართველოში კი ყველაფერი ძველი აგრძელებს სიცოცხლეს დღევანდელობაში“– წერს თანამედროვე ცნობილი ებრაელი მეცნიერი და თეოლოგი ავიგდორ ესკინი.

ისრაელი ჩვენთვის სამაგალითოა იმითაც, ამ უძველესმა ერმა როგორ სწრაფად შეძლო მოდერნიზება და მოწინავეთა რიგებში ჩადგომა.

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო იშვა 1948 წელს, როცა გაეროს დადგენილებით მათ გამოეყოთ 14 ათასი კვ. კმ. ფართობი ყოფილი პალესტინის ტერიტორიიდან (ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში ლომის წილი მიუძღვის იოსებ სტალინს, რომელმაც დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო თავისი გაეტანა და სოლივით ჩაუსვა არაბებს ეს პატარა ქვეყანა).

სულ რაღაც 68 წლის განმავლობაში ისრაელი პაწაწინა სახელმწიფოდან სიონისტური ეროვნული იდეოლოგიის სიძლიერის და ხალხის, ერის მონდომების წყალობით, გადაიქცა ქვეყნად, რომლის მოსახლეობა (6 მილიონზე მეტი) რვაჯერ აღემატება 1948 წელს არსებულ რაოდენობას, გადაიქცა უძლიერეს ქვეყნად, რომელიც დომინირებს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ რომელსაც ძალზე დიდი გავლენა აქვს მთელს მსოფლიოში, რამეთუ მსოფლიო ფინანსების 75%–ს ებრაელები ფლობენ.

ამჟამად ისრაელს ახლო აღმოსავლეთში წამყვანი პოზიცია უკავია ეკონომიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროში. ისრაელი ფაქტობრივად უდაბნო, ხრიოკი ადგილი იყო, ქვიშიანი და მტვრიანი, მიწა გემებით ჩამოჰქონდათ, წყალს ყიდულობდ-

ნენ, მაგრამ შრომის შედეგად ეს ადგილი აყვავებულ ბაღნარად აქციეს.

მეტად საყურადღებოა ისრაელის გამოცდილება მრეწველობის განვითარების საქმეში. ისრაელს არც საკუთარი ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, არც მრეწველობის განვითარების საბაზო დარგები. გეოპოლიტიკური და სამხედრო სირთულეების გამო მას არ შეეძლო გაეტარებინა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ევროპის და ჩრდილო ამერიკის მოდელების მიხედვით. ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი ეიზერ ვაიცმანი მიუთუთებდა, რომ „ჩვენ, ისრაელმა ფული და კაპიტალი ჩავდეთ ადამიანთა ტვინებში (ანუ განათლების სფეროში) იმიტომ რომ სხვა არაფერი რესურსი არ გაგვაჩნდა“–ო.

ისრაელი გარშემორტყმულია მისდამი მტრულად განწყობილი 20–ზე მეტი ქვეყნით, რომლებმაც ამ 68 წლის განმავლობაში 7 ომი გააჩაღეს ისრაელის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა წააგეს. საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა ისრაელს აიძულებს, როგორც ეროვნული პროდუქტის, ისე შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული და შემძლე ნაწილით მოახდინოს თავდაცვის უზრუნველყოფა. ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემოსავლებიდან 10–15 % თავდაცვის ფონდს ხმარდება. ეს დასავლეთის უმრავლესი ქვეყნებისათვის 3–5 %–ია (სომხეთისათვის 9%–ია, საქართველოსთვის 6%).

68 წლის მანძილზე ისრაელმა მსოფლიოს 120 ქვეყნიდან ჩამოსული 5 მილიონამდე ადამიანი (მათ შორის სსრ კავშირიდან ჩასული 1,5 მილიონი ებრაელი) მიიღო.

საკუთარი ქვეყნის უზომოდ მოყვარულ და საქმიან ებრაელებს მცხუნვარე მზის ქვეშ გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, სანაპიროებს, პორტებს, ქარხნებს, საცხოვრებელ ბინებს, აშენებდნენ პლანტაციებს. სწორედ ამგვარმა თავჩაუხრელმა შრომამ აქცია ისრაელი აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო აზრის განვითარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნია მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, აგრეთვე თანამედროვე კვების მრეწველობა და ალმასების დამუშავების ერთ–ერთი მსოფლიო ცენტრი. ისრაელის ხვედრით წილად მოდის მსოფლიო საიუველირო ალმასების წარმოების 40%. შედარებისთვის – რუსეთში ალმასების დამუშავების მრეწველობაში დასაქმებულია 2–ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ისრაელში, სასაქონლო პროდუქცია კი იწარმოება 6–8 ჯერ ნაკლები, ვიდრე ისრაელში.

ისრაელის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსიურობით, მოწინავე აგრონომიით და მელიორაციით. პირდაპირ გამაოგნებელია: იერუსალიმი, მისი შემოგარენი და თითქმის ყველა მიმდებარე ადგილი კლდოვანია, ქვიშიანი და მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საოცარი სიუხვეა მოსავალი 2–ჯერ მოჰყავთ და ხრიოკზე სიცოცხლეს ქმნიან მოწინავე ტექნოლოგიების („ჰაი–ტექი“) წყალობით.

მაშინ, როცა ისრაელში, ფაქტობრივად, წყალი არ არის (ამასვე ადასტურებს ისრაელის 92 წლის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელმაც კიევში გამოსვლისას თქვა, რომ „წყალს ჩვეულებრივად პოულობენ, არ მოიპოვებენ ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ, მერე კი წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ“) ცხელი წყალი ყველას აქვს. მზის ბატარეები ცვლის ჰიდროელექტროსადგურებს და ატომურ ელექტროსადგურებს. ზაფხულობთ 4 თვიანი გვალვაა და მაინც სარწყავი მილების წყალობით, ყველაფერი ყვავის. მთებში მიწის ქვეშ ტბებია, საიდანაც წყალი უდაბნოში მოჰყავთ. წვიმის წყალსაც კი არ ჰკარგავენ – რეზერვუარებში აგროვებენ. ყოველი ხის, ყოველი ყვავილის ახლოს სარწყავი მილია გაყვანილი. ეს არის წვეთოვანი რწყვის მეთოდი, რომელსაც ისრაელში დიდი ხანია იყენებენ. იგი მცენარეს, ხეს იმდენ წყალს აწვდის, რამდენიც ესაჭიროება, რათა წალკოტში არათუ გამხმარი, არამედ უწყლობისაგან შეყვითლებული ფოთოლიც არსად გაერიოს. ისრაელში სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი ქვეყნის 82 მოქალაქეს უზრუნველყოფს პროდუქტებით. რუსეთში ერთი ძროხის წველადობა წელიწადში 3 ათას ლიტრს შეადგენს, ისრაელში კი 10 ათას ლიტრს.

მშენებლობა, ფართო საყოფაცხოვრებო ინდუსტრიაა, მსოფლიოში ერთ–ერთი საუკეთესო საოპერაციო მედიცინა, მრავალპროფილიანი უმაღლესი განათლება, კომპიუტერიზებული საბანკო და მოსახლეობის სერვისის სხვა სახეობანი ისრაელის ეკონომიკის ბირთვს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჰაი–ტექის“ (მაღალი ტექნოლოგიების) სფერო, რომელშიც ისრაელი ასევე მსოფლიო ერთ–ერთი ლიდერია. „ჰაი–ტექ“–ის საწარმოთა ხვედრითი წილი ისრაელის ექსპორტში 80%–მდეა (30 მილიარდ დოლარამდე). არმიაში გაწვეული ახალგაზრდები ცდილობენ იმსახურონ სრულიად საარმიო კომპიუტერულ ცენტრ „მამრან“–ში, რომლის კურსდამთავრებულების თვიური ხელფასი 7 ათასი დოლარია და 4–ჯერ აღემატება საშუალო სასტარტო ხელფასს და მაინც ისრაელში არ ჰყოფნით 5 ათასზე მეტი სპეციალისტი „ჰაი–ტექ“–ის სფეროში.

ისრაელში თავდაცვა იდეოლოგიურად უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ისრაელს აქვს ატომური და წყალბადის ბომბი, უმაღლესი სიზუსტის რაკეტები, რომლებიც მტრის რაკეტებს ჰაერში ანადგურებენ, ჰყავს უძლიერესი დაზვერვის სამსახური „მოსადი“. ქვეყნის თავდაცვა არა მარტო კაცების, არამედ ქალების მოვალეობაცაა. არმიაში ყველა მსახურობს. არც ერთი თავმოყვარე გოგონა არ გაივლის იმ ბიჭის გვერდით, ვინც ჯარში ნამყოფი არაა.

„ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა, – ამბობს შიმონ პერესი, არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. რა უნდა გვექნა? – ორი რამ: პირველი – ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. „ ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ, მორჩა. მეორე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ, განვავითარეთ – სექტორი, რომელიც მუშაობდა არმიაზე, რადგან ვიყავით მარტო და თანაც მტრულ გარემოში, სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვა ისრაელმა ყველა ომში არაბთა წინააღმდეგ და ტერიტორია 5 – ჯერ გააფართოვა.

პერესის აზრით პოტენციალი ადამიანებს დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა ბევრი იმუშაოთ, ციდან არაფერი ცვივა. ჩვენ, ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რა არის ამაში ცუდი . . . უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას, რომელსაც არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და რეფლექსები. წარსული იცოდეთ, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ . . . იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე, რაც უფრო დიდ იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ . . . დაიანგარიშეთ თქვენს ტვინში მიღწევები და ოცნებები . . . თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მიღწევები, ეს ნიშნავს რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ქართველი ებრაელის ფენომენი“. ასეთი რამ სხვა ერმა არ იცის. ჯერაც არავის გაუგონია „ქართველი სომეხი“, :ქართველი რუსი“, „ქართველი აზერბაიჯანელი“ და ა.შ.

ქართველ ებრაელთა ფენომენის ერთ–ერთ კონკრეტულ გამოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი,რომ ქართულ მიწაზე 26 საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე „არსად არ თქმულა და არ გაგონილა,რომ ოდესმე ქართველ ურიას საქართველოსთვის ეღალატნოს და რაიმე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერთათვის გარდაეცათ,თუმცა ამის შემთხვევა მათ ხშირად მიეცემოდათ“ (ზაქარია ჭიჭინაძე).

„ეს მოხდა რომში – წერს აბონ ციციაშვილი თავის 800 გვერდიან წიგნში „ებრაელები და საქართველო“. ქართველებს მაღაზიაში შემთხვევით კაოლინის თიხის ძალზე ძვირადღირებული ნივთი გაუტყდათ. მაღაზიის კარი იმწამსვე დაიკეტა. მეპატრონემ ქართველებს ნივთის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა. მათ საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ. იქვე შემთხვევით მყოფმა უცნობმა ყური მოჰკრა ქართულ საუბარს, იხმო მეპატრონე. „რამდენია გადასახადიო“ – ჰკითხა. 3800 დოლარიო უპასუხა მეპატრონემ. უცნობმა ეს თანხა გადაუთვალა, შემდეგ მოუბრუნდა ქართველებს და ქართულად უთხრა: თქვენი ჭირიც წაუღიაო, ძმებო, თან აღნიშნა თბილისში დაბადებული ქართველი ებრაელი ვარო, არც გვარი უთხრა, არც სახელი და სიყვარულით გამოემშვიდობა“.

ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დადგეს შოთა რუსთაველის ძეგლი და მისი ქუჩა (ასევე თბილისის მოედანი) გააკეთებინეს მთავრობას იერუსალიმში, ლაპარაკობენ, მღერიან და ტირიან ქართულად, ცეკვავენ ქართულად, ზრდიან ქართული ტრადიციებით.

„ერთადერთი ერი - სტუმარი, – წერს აბონ ციციაშვილი, რომელმაც საუკუნეები იცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი უბედური ბედის გამო და რომელსაც არასოდეს არ უთქვამს, ეს მიწა ჩემია, ან განსაკუთრებული უფლებები (მაგ: ავტონომია) მომეცით, ებრაელი ერია. როდესაც მის სამშობლოსაც გაუღიმა ბედმა, აიკრა გუდა–ნაბადი, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს გაწეული თანადგომისთვის, ერთ ჭერ–ქვეშ ცხოვრებისათვის და წავიდა.

სხვები? ამაზე არც ფიქრობენ“.

ვაჟა შუბითიძე

ებრაელობა – სურამში

ხაშურის რაიონის მოსახლეობა, როგორც გასულ საუკუნეებში, ასევე დღესაც, ძირითადად მხოლოდ ქართველი ეთნოსი იყო და არის წარმოდგენილი, მაგრამ მის გვერდით სხვადასხვა დროიდან ცხოვრობდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგნელებიც, კერძოდ, ებრაელები და სომხები. ებრაელები აქ შორეული წარსულიდან სახლობენ. ისინი ძირითადად სურამსა და ალში ცხოვრობდნენ. გვიან, XIX ს-ში ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება ხაშურშიც. რაიონში ებრაელთა ცხოვრების კვალი მარტო წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებში არ დასტურდება. გვხვდება ტოპონიმებშიც, რომელიც ამ ეთნოსს უკავშირდება. ასე მაგალითად, სოფ, ალში არის ადგილი „ნაურიალები", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ებრაელებს უცხოვრიათ. ალში ებრაელები დასტურდებიან ქუცნა ამირეჯიბის სიგელშიც (XVს). ქუცნამ ახლადაღდგენილ ულუმბის მონასტერს შესწირა „ორი კვამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები".

ალში ებრაელობა XVIII ს-იც გვხვდება. ამაზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „... არს ალის - წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი" (ვახუშტი, გვ 377).

ალში ებრაელობა XIX საუკუნიდან აღარ ჩანს, რისი მიზეზიც უნდა იყოს ამ მხარეში ფართოდ გავრცელებული ლეკიანობა. ებრაელობა ქართველ მოსახლეობასთან ერთად აიყარა და შედარებით უსაფრთხო ადგილს შეაფარა თავი.

რაც შეეხება სურამს, აქ ებრაული მოსახლეობა დღევანდლამდე სახლობს. იგივე ვახუშტი ბატონიშვილი სურამის ეთნიკურ შემადგენლობაზე წერს: „... არს სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენ არიან ქართველნი, სომეხნი, ურიან (იქვე).

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრში სურამში ცალკეა აღწერილი ებრაელთა დასახლება. ამ დროს სურამში 46 ებრაული ოჯახია დაფიქსირებული. მათ ისეთივე გადასახადები აქვთ შეწერილი ოსმალთა სასარგებლოდ, როგორც აქ მოსახლე ქართველებს. გადასახადის მთლიან ღირებულებას 5000 ახჩა შეადგენდა (გვ. 264-265). აღწერით, მათი სამეურნეო ყოფაც კარგად ჩანს.

ქართლ-კახეთის მოსახლეობა, 1770 წლის აღწერის მიხედვით, „არს ქალაქი სურამი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხი და ურიანი, 200 კომლი".(ქსძ, II, გვ.420).

სურამში ქართველების გვერდით საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ფიჩხაძეები და პაპისმედაშვილები, გაგულაშვილები და ბათინაშვილები, ჯანაშვილები და ალელიშვილები, ბატონაშვილები და ბინაშვილები, ყაზარაშვილები და კოჟიაშვილები, მანაშერაშვილები და ტოპიაშვილები, არონაშვილები და მაღალაშვილები...

სურამში მცხოვრები ებრაელები, სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, გათანაბრებულები იყვნენ ქართველებთან, სომხებთან. აღსანიშნავია მათი სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც დაფუძნებული იყო ებრაულ სამართალზე, რაც მნიშვნელოვან მომენტად უნდა მივიჩნიოთ. კუთვნილების თვალსაზრისით, ებრაელობა იყოფოდა სამეფო-სადედოფლოდ, საეკლესიო - სამონასტროდ და სათავადაზნაუროდ. ისინი უმთავრესად აღებმიცემობას ეწეოდნენ, რა თქმა უნდა მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, ვენახს, ხილს აშენებდნენ, მოჰყავდათ მარცვლეული.

იყო შემთხვევები, როცა ებრაელობა „ქართველდებოდა", ე.ი. ქრისტიანდებოდა... ამის დასტური უნდა იყოს რეგიონში გავრცელებული გვარ-სახელი ურიადმყოფელი.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში სურამელი ებრაელობის დიდი ნაწილი თავის სამშობლოს – ისრაელს დაუბრუნდა.

1886 წელს საქართველოში ჩატარდა საოჯახო აღწერა, შედგა საოჯახო სიები. ამ დროს სურამში დაფიქსირდა 564 კომლი, აქედან 82 კომლი ებრაელი- 312 კაცი და 229 ქალი.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, გავეცნოთ აღნიშნული აღწერის მასალებს, რაც საშუალებას მისცემს, სურამელ ებრაელებს, კიდევ ერთხელ გაიხსენონ თავიანთი ფესვები. აღწერის მასალები ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ფრჩხილებში ნაჩვენებია წლოვანება. ნათესაური რიგი აითვლება ოჯახის უფროსიდან.

1886 წელს სურამში ცხოვრობდა ებრაელთა შემდეგი ოჯახები:

1. მათე რახიელის ძე ჯანაშვილი (55); მისი ვაჟიშვილები: დავითი (25), რახიელი (27) არონი (8); მისი მეუღლე ნანემო (40); მისი რძლები: ესტერი (20) ბუდიმი (18); მისი შვილიშვილი მარიამი (2).
2. ისხაკ რახიელის ძე ჯანაშვილი (58); მისი ვაჟიშვილები: გაბრიელი (26), მეიერი (20); მისი მეუღლე ხანა (40); მისი რძლები ხავა (20), ჰერა (18); მისი შვილიშვილები: რახელი (3), ლია (1885).
3. ელიშაყ მოსეს ძე ჯანაშვილი (70); მისი მეუღლე სარხა (55)
4. აბრაამ დანიელის ძე ჯანაშვილი (60); მისი ვაჟიშვილი ხიპალი (14); მისი მეუღლე მარიამი (40); მისი ქალიშვილები: რახელი (11), მალკა (7), ბატაშება (3), რიბნა (2).
5. დანიელ დავითის ძე ჯანაშვილი (45); მისი ვაჟიშვილები: ელიკაზრი (12), ეხასნელი (8), ისხაკი (6);

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმა:

6. შალომი (36) მისი ძმისშვილი დავითი (13); მისი მეუღლე იოხებეს (35); მისი ქალიშვილები: სარა (16), კამხის (1)
7. იოსებ დავითის ძე თურნიაშვილი (48); მისი ვაჟიშვილები: ელიშაკი (9), ხაიმი (1); მისი მეუღლე მარიამი (30); მისი ქალიშვილი ხანა (10)
8. მოსაკა (ლისიმო?) დანიელს ძე თურნიაშვილი (70); მისი მეუღლე მალკა (35) მისი ქალიშვილები: ნონა (4), ხანა (3), სიმხა (1885)
9. მორდეხ დავითს ძე თურნიაშვილი (40); მისი ვაჟიშვილები: ბითაშინი (8), მოშე (5), შალომი (2); მისი მეუღლე იოხებესი (35)
10. აბრაამ შაშუილის ძე მანაშეროვი (48); მისი ვაჟიშვილები: მანაშე (17), ისეხაკი (9) მისი მეუღლე სიპორა (30); მისი ქალიშვილები: რებორა (6), რიბკო (4), კეშია (1885)
11. რაფიელ აბრაამის ძე გაგულაშვილი (70); მისი სიძე ერო რაფაელის ძე (36); მისი ვაჟიშვილები: აბრაამი (12), ისხაკი (10), მოშე (8); მისი მეუღლე რახელი (45) სიძის მეუღლე ესთერი (35).
12. იაკობ აბრაამის ძე ჯანაშვილი (70); მისი ვაჟიშვილი აბრაამი (35); მისი შვილიშვილები: იოსები (8), დავითი (7); მისი მეუღლე ესთერი (50); მისი ქალიშვილები: ხავა (12), რახაილი (9); მისი რძალი მარო (35); მისი შვილიშვილი მალკა (2).
13. შალომ გაბრიელის ძე ჯანაშვილი (30); მისი ძმები: ხაიმი (14), იუდა (2); მისი ძმიშვილი (1); მისი მეუღლე ლია (25); მისი რძალი ლია (18); მისი დედა სიმხა (50)
14. მოსე აბრაამის ძე ჯანაშვილი (60); მისი ვაჟიშვილები: იერონი (4), იოსები (1); მისი მეუღლე ხანა (35); მისი ქალიშვილები: ესთერი (9) ნანელი (6), ზილპა (3)
15. შალომ იოსების ძე ფიჩხაძე (50); მისი ვაჟიშვილი ელია (3);

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

16. მიხეილი (48); მისი ძმისშვილი მენახემი (1885)
17. მორდეხი (42); მისი ძმისშვილები: მეიერი (14), რუბენი (11), შიშკენი (8); მისი მეუღლე თამარა (35); მისი ქალიშვილები: სარა (9), ლებანი (6), ასიეთი (1885); მისი რძლები: ხავა (35), რიბკა (30); მისი ძმისშვილები: ესთერი (11), რებერა (8), ბატშებენი (1).
18. აბრაამ მანდახოვის ძე ჯანაშვილი (36); მისი ძმა დანიელი (30); მისი ვაჟიშვილი მოშე (1885); მისი მეუღლე ხავა (30); მისი ქალიშვილები: ლია (2), მალკო (1); მისი რძალი მაზა (25)
19. ისლაიდი სიმონის ძე მაღალაშვილი (30);
20. მოშე ბინოს ძე მანაშეროვი (60); მისი ვაჟიშვილი აბრაამი (31); მისი რძალი ესთერი (25); მისი შვილიშვილები: ლია (8), მალკო (2)
21. მოშე ბატოს ძე კემიაშვილი (50); მისი ვაჟიშვილი პილხოზ (8); მისი მეუღლე სოფო (32) მისი ქალიშვილები: რახაილ (5), ზილპი (3)
22. მიხეილ აბრაამის ძე ფიჩხაძე (27); მისი ძმა ისააკი (18); მისი ვაჟიშვილი არონი (5)

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ბიძაშვილი:

23. მოშე (6); მისი მეუღლე ხანა (18); მისი რძალი ხანა (45); მისი ბიძაშვილი მარო (5)
24. შაშუილ მათეს ძე ფიჩხაძე (65); მისი ვაჟიშვილები: მოშე რაფაელ (29), გაბრიელი (24); მისი შვილიშვილი დავითი (1885); მისი მეუღლე ესთერი (60); მისი რძლები: მალკო (60), დოდო (16)
25. ბითო მოშეს ძე ფიჩხაძე (50); მისი ვაჟიშვილები: დანიელი (25), ისხაკი (21), მანაშ (20), ხაეხნო (14), პილხაზი (3); მისი მეუღლე იოხებეს (48); მისი ქალიშვილები: დებორა (7), რახიელი (5), ზილპი (1); მისი რძლები: მალიკა (22), ხიხა (18)
26. შალომ შაშუელის ძე დავარაშვილი (34); მისი ვაჟიშვილები: დავითი (12), შაშუელი (1)

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

27. ისხაკი (29)
28. იუშანი (25), მისი მეუღლე მარიამი (30); მისი რძლები: სოფა (26), აბიგაელი (21) მისი ძმისშვილები: მალკა (2), ლია (1885), ხოვა (4), ხანა (1).
29. ისრაილ მანაშერის ძე ჯანაშვილი (36); მისი ვაჟიშვილი შმახონი (6)

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

30. იაკობი (31)
31. იოსები (29), მისი ძმისშვილები: ბინო (5), მოსე (1), დავითი (1885); მისი მეუღლე ხანა (35); მისი ქალიშვილები: ესთერი (10), რახელი (3), ზილპო (1); მისი ძმისშვილი ხანა (5); მისი რძლები: რიპკო (20), თამარა (27).
32. მოშე არონის ძე მიხაილაშვილი (46);
33. მარდახ ელიშაყის ძე დავარაშვილი (54); მისი ძმა სიმონი (47); მისი ვაჟიშვილები: ისლაილი (17), იაკობი (13); მისი ძმისშვილი ისხაკი (11); მისი მეუღლე მარიამი (35); მისი ქალიშვილები: სიპო(4) რანკო (2); მისი რძალი რახელი (31); მისი ძმისშვილი ზილპო (2) მისი დედა ესთერი (65).
34. არონ ელის ძე მიხაილაშვლი (60); მისი ვაჟიშვილები: იოსები (34), ისრაილი (16); მისი ძმა ელო (54); მისი ძმისშვილები: შაშუილი (17), ხაიმა (1885); მისი შვილიშვილები: მენახილ (5), შალომი (4); მისი მეუღლე ნინო (50); მისი ქალიშვილი რახელ (15); მისი რძლები: სიმხა (40), სოფო (30); მისი შვილიშვილი ზილპო (2)
35. შალომ იაკობის ძე ჯანაშვილი (29); მისი ძმები: ელო (35), იოსები (22), გაბრიელი (19); მისი ვაჟიშვილები: იაკობი (6), მირდახ (2), ბინო (1885); მისი ძმისშვილები: ისხაკი (6), რაფაელი (1885); მისი მეუღლე რინკო (25); მისი რძლები რინკო (24), იოხებეს (20), რინო (15); მისი ძმისშვილები: რახილი (4), ესთერი (1885).
36. დავით გაბრიელის ძე ჯინჯიხაშელი (50); მისი ვაჟიშვილები: იაკობი (11), შალომი (7), ეფრაიამი (5), აბრაამი (3); მისი მეუღლე სილხა (40); მისი ქალიშვილები: რინკო (10), რახელი (11)
37. არონ გაბრიელის ძე ჯინჯიხაშვილი (55); მისი ვაჟიშვილები: მეირი (25), იუშანი (21), იოსები (19); მისი შვილიშვილი აბრაამი (1); მისი მეუღლე მარიამი (45); მისი ქალიშვილი სინორა (12); მისი რძლები: აბიგაელ (25), სრრა (18), ხავა (17); მისი შვილიშვილები: ესთერი (25), ხავა (8).
38. ისრაილ რონის ძე კოჟიაშვილი (60); მისი ვაჟიშვილები: შამუელი (34), იაკობი (27) მისი შვილიშვილები: ისხაკი (3), მარდახ (1885), იუშან (1885); მისი მეუღლე ნაკეშა (45) მისი რძლები: კონია (28), ლია (22); მისი შვილიშვილები: ესთერი (9), რახილი (6), ხანა (4), ნონა (3), მალკა (32)
39. დანიელ ბინოს ძე მანაშეროვი (32); მისი ვაჟიშვილები: არონი (13), ძინიამან (4), მენახე (1)

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

40. რაფაილი (30), შიმხონი (27), ისხაკი (24); მისი ძმისშვილები: ბინიამინი (4), მარდახი (4), დავითი (2), ისახორი (1); მისი მეუღლე თამარა (32); მისი ქალიშვილები: სარა (6), რახელი (4); მისი რძლები: თამარა (27), თამარა (25), ხოვა (20), მარიამი (20); მისი ძმისშვილები: ესთერი (12), ნიკიშ (4), სოფო (4), აბგაელ (3), ხანო (1); მისი დედა თინათინი (70) (გადასულა საცხოვრებლად სოფ. ქარელში);
41. შაშუილ ბატოვის ძე კოჟიაშვილი (35); მისი ვაჟიშვილები: გაბრიელი (7), ისხაკი (4), შმაკონი (2); მისი ძმისშვილები: აბრაამი (15), მარდახ (5); მისი მეუღლე რანკო (25); მისი ქალიშვილი მალკო (1); მისი ძმისშვილი ესთერი (9); მისი დედა სარხა (70);
42. არონ არონის ძე გაგულაშვილი (60); მისი ვაჟიშვილი დავითი (24); მისი შვილიშვილი აბრაამი (1); მისი მეუღლე ლია (40); მისი ქალიშვილები: ხორა (13), ესთერი (10), სარხა (5) მისი რძალი აბიგაელი (22).
43. ისრაილ გაბრიელის ძე ჯინჯიხაშვილი (50); მისი ვაჟიშვილები მინაშე (32), მიხეილი (13) გაბრიელი (6); მისი შვილიშვილი იაკობი (1885); მისი მეუღლე სიმხა (45); მისი ქალიშვილი რახელი (3); მისი რძალი რახელი (18)
44. მარდახ აბრაამის ძე ჯანიაშვილი (32)

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

45. შაშული (39).
46. იოსები (34), შაბათა (32); მისი ვაჟიშვილები: დავითი (5), ელია (1); მისი ძმისშვილები: მათე (10), არონი (6), მიხეილი (3), ისრაილი (5), იაკობი (1885); მისი მეუღლე თამარა (35) მისი ქალიშვილები: სიპორა (12), ესთერი (7), მალკა (4); მისი რძლები: თამარა (35), მარიამი (32), მარიამი (30); მისი ძმისშვილები: ზალპა (2), ხანა (4), დოდო (1); მისი დედა სარხა (70)
47. დანიელი აბრაამის ძე ჯანიაშვილი (27); მისი ძმა დავითი (25); მისი ვაჟიშვილი ისრაილი (6); მისი ძმისშვილები ეოხიმეს (1885); მისი მეუღლე თამარა (50); მისი ქალიშვილები; მალკა (4), ნიკაშა (1); მისი რძალი მაკო (22); მისი დედინაცვალი რახიელი (65).
48. ისხაკ შალომის ძე ჯანიაშვილი (74); მისი ვაჟიშვილები: რაფაილ (34), ელშაკ (22), არონი (34); მისი შვილიშვლები: შალომი (14), გაბრიელი (10), პილხოზი (3), ისრაილი (3), ბესალელი (1), მოშე (2); მისი შვილიშვილები: ესთერი (8), მალკო (4); მისი რძლები: ესთერი (30), ლია (25), იოხებეს (24); მისი მეუღლე სორხა (50)
49. იოსებ შალომის ძე ალელიშვილი (22); მისი ვაჟიშვილები: რაფაილი (22), ისრაილი (17) მისი ძმები: იაკობი (36), შალომი (34) პილხაზი (28); მისი ბიძაშვილები: მიხეილი (27), მოშე (22) მისი ძმისშვილები: არონი (10), მარდახა (4), აბრაამი (1886); მისი მეუღლე მარიამი (32) მისი ქალიშვილები: სორხა (11), ზილპა (7) კადა (2), იოხებისი (1885), მისი რძლები: ლია (31), ესთერი (25), რახელი (20), თინათინი (18), ესთერი (15), ხანა (16); მისი ძმისშვილები: ხავა (6), მარიამი (2) ნანელი (8); მისი დედა ხანა (70).
50. იოსებ აბრაამის ძე გაგულაშელი; (42); მისი ვაჟიშვილები: აბრაამი (14), შამხოტი (2); მისი მეუღლე სიპორა (35); მისი ქალიშვილები: სიმხა (14), სორხა (8), რახილი (1885)
51. დანიელი დავითის ძე კოჟიაშვილი; (39); მისი ძმა აბრაამი (34); მისი ვაჟიშვილები: დავითი (6), მოშე (ხაიმი) (4); მისი ძმისშვილები: მორდეხი (4), არონი (3); მისი მეუღლე ესთერი (35); მისი ქალიშვილები: სორხა (2), რახიელი (1); მისი რძალი სორხა (27); მისი ძმისშვილი რახიელი (1); მისი დედა იოხებეს (70).
52. იოსებ ბინას ძე მანაშეროვი (54); მისი ვაჟიშვილები: დავითი (28), მეიერი (24) , მანაშე (17) მისი შვილიშვილები: ისრაილი (7), რახამი (2) ბინო (1885); მისი მეუღლე რახიელი (40); მისი რძლები: რანკო (30), ესთერი (24); მისი შვილიშვილი სორხა (1885)
53. პილოხაზ ისაკის ძე თორინაშვილი (31); მისი ვაჟიშვილები: მენაშე (2), იოსები (1886); მისი ძმა მიხეილი (15); მისი მეუღლე მარიამი (20); მისი დედა თინათინი (50)
54. მოშე გაბრიელის ძე ჯინჯიხაშვილი (60); მისი ვაჟიშვილები: მარდახ (30), აბრაამი (26), ისააკი (12), დავითი (8); მისი შვილიშვილი იოსები (5); მისი მეუღლე რახილი (45); მისი ქალიშვილი მალკა(2); მისი შვილიშვილი ლია (4); მისი რძლები: მარიამი (27), ნიკეში (18)

(დასასრული V გვერდზე)

ებრაელობა – სურამში

(დასასრული V გვერდზე)

55. ბინო გაბრიელის ძე ბატონაშვილი (34); მისი ძმა ელო (29)

56. ისხაკ გაბრიელის ძე ბატონაშვილი (34); მისი დედა ხანა (65)

57. დავით მარდახის ძე ბატონაშვილი (26); მისი ძმები: მიხეილი (21), არონი (15); მისი რძალი აბიგაელი (18), მალკა (15); მისი დედა თამარა (60)

58. აბრაამ იაკობის ძე კოჟიაშვილი (50); მისი ვაჟიშვილები: მიხეილი (24), დანიელი (20), არონი (14),იზრაილი (4); მისი მეუღლე კონია (45); მისი რძალი ნაკეში (20).

59. ელო იაკობის ძე კოჟიაშვილი (39), ცხოვრობს იერუსალიმში

60. იოსებ სოლომინის ძე კოჟიაშვილი (50); მისი ვაჟიშვილები: შალომი (22), ისხაკი (9), მარდახა (5), სიმონ (2).

გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ძმები:

61. რაფიელი (45), დავითი (36), ბინო (31); მისი ძმისშვილები: იაკობი (1),მიხეილი (5), მორდეხა (4), იოსები (1), ილია (1); მისი მეუღლე ხანა (40); მისი ქალიშვილები: თამარა (12), სიმხა (7) იოხებესი (4); მისი რძლები: რიპკა (35), ესთერი (25), ხანა (25); მისი ძმისშვილები: რახილი (1885), ხივა (4); მისი დედა რახილი (80).

62. მიხეილ შალომის ძე ჯანიშვილი (50); მისი მეუღლე რახელი (45)

63. ელო ბინოს ძე მანაშეროვი (44); მისი ვაჟიშვილები: ისრაილი (12), იუშალი (6), მიხეილი (3), აბრაამი (1885); მისი მეუღლე აბიგაელი (35); მისი ქალიშვილი: რახელი (7)

64. დავით მანაშერის ძე მანაშეროვი (49); მისი ძმები: აბრაამი (39), მოსე (35), იუდა (32);

მისი ვაჟიშვილები: იეხილი (15), ზებულონი (7); მისი ძმისშვილები: ზაქარია (13), არონი (4), მენოხემი (1886); მისი მეუღლე სორხა (40); მისი ქალიშვილები: თინათინი (12), ხანა (16),ლია (3), ზილპა (2), რინკა (1) მისი რძლები: ესთერი (32), სიპორი (30), რაპკოა(20)

მისი ძმიშვილები: რახელი (8), რახელი (4), სარხა(3), ხავა (1).

65. იოსებ იზრაელის ძე ჯანიაშვილი (39); მისი ვაჟიშვილები იზრაელ (10), აბრაამი (4), იაკობი (3), გაბრიელი (1); მისი მეუღლე რიპკა (32); მისი ქალიშვილი მალკა (6)

66. ისრაილ მოშეს ძე თორუკაშელი (39); მისი ვაჟიშვილები: მარდახა (9), მენოხემი (5), ისხავი (2), შალთმი (1885); მისი ძმისშვილები: მოშე (22), იუშაკი (7); მისი მეუღლე რიპკა (35); მისი ქალიშვილები: მარიამი (6), სორხა (3); მისი რძალი რახიელი (18).

67. დავით მანუხის ძე ჯანიაშვილი (47); მისი ვაჟიშვილები: მანუახი (17),მოშე (5),ისრაილი (3),შალომი (1885); მისი მეუღლე ხანა (32)

68. ელიშაყ ისრაელის ძე ჯანიაშვილი (59); მისი ვაჟიშვილები: მოშე (32), არონი (12); მისი მეუღლე სორხა (45); მისი რძალი ნესტერი (25); (ეს კომლი ათი წელი ცხოვრობს იერუსალიმში)

69. იაკობ ორდანის ძე მახოძე (13) მისი ძმა იობი (6) (ეს კომლი სად არის, უცნობია).

70. აბრაამ დანიელის ძე კაკიაშვილი (27); მისი ძმები: მიხეილი (24), დანიელი (23)

71. დანიელ დავითის ძე ჯანაშვილი (35); მისი მეუღლე თამარა (25); მისი ქალიშვილი ლია (1)

72. რაფაელ ისრაილის ძე ჯანაშვილი (25); მისი ქალიშვილი ხანა (2); მისი მეუღლე სორხა აბრაამის ასული (20); (ეს კომლი ცხოვრობს ს. ცხინვალში 1885 წ.)

73. ლუკა იოსების ძე ფიჩხაძე (11) (ცხოვრობს სოფ. ცხინვალში).

74. მოსე ელიას ძე პაპისმეფოვი (32); მისი მეუღლე თამარა იოსების ასული (30); (ცხოვრობს ქ. ქუთაისში)

75. დანიელ მანუხის ძე ჯანიაშვილი (31); მისი ვაჟიშვილი მანუახი (4); მისი მეუღლე მაზა (24); მისი ქალიშვილი მაიხი (2); (ცხოვრობს ქ. ქუთაისში).

თ. ლაცაბიძე

ებრაული დელეგაციის პირველი სტუმრობა სურამში

ასეთი ხალხმრავლობა დიდი ხანია არ ყოფილა სურამში... დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ერთი გრძნობით გამოსულა ქუჩებში _ მეგობრობის, ძმობის, სიყვარულის სადიდებლად და სალოცავად. სურამის ცენტრალური ქუჩის (რუსთაველის ქუჩა მ.დ.) დასაწყისში სტუმრებს ელოდნენ ნაირფრად შემკული ფაიტონები... არღანი (მეარღნე სტეფანე კულიჯანოვი)... სადღესასწაულო განწყობაა ყველგან... ყველას სურს, ამდენი ხნის დუმილი გაარღვიოს და ერთმანეთს სიყვარული და ძმობა დაუმტკიცოს...

...სურამელები ამაღლებული განწყობილებით შეხვდნენ სტუმრებს დაბის კარიბჭესთან, სადაც კიდევ ერთხელ ხმამაღლა ითქვა მრავალსაუკუნოვანი უნაკლო ძმობის ღვთიური სადიდებელი...

საპატიო სტუმრები ეტლებით ამოაცილეს დაბის ცენტრამდე... ებრაული ნამცხვრებით სავსე ხონჩებით შეხვდნენ სტუმრებს ქართულ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები. საცეკვაოდ მიიწვიეს სტუმრები. ქართულ ცეკვას ებრაული „ჰავანა ჰილა“ მოაყოლეს და ასე ერთად ხელიხელჩაკიდებულნი უმღეროდნენ ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს, თანადგომას, ერთობას...

სტუმრებმა და მასპინძლებმა ქუჩის ახალი ნათლობის ცერემონიალში მიიღეს მონაწილეობა... რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ ქუჩას გადაერქვა სახელი

და ეწოდა იერუსალიმის ქუჩა. იერუსალიმის ქუჩის ავლით კი სტუმრებმა და მასპინძლებმა კულტურისა და დასვენების პარკში დადგმულ მემორიალურ დაფასთან მოიყარეს თავი. „დიდი შეშფოთება და ტკივილი გამოიწვია ქართველი დებისა და ძმების უდანაშაულო ხოცვა-ჟლეტამ. 9 აპრილი ჩვენთვის უდიდესი ტრაგედია იყო, ასეთი ტკივილი არასოდეს განგვიცდია. უდიდეს სამძიმარს გიცხადებთ ყველას, სამძმარს ვუცხადებთ ჩვენს თავსაც, ორივეს დაგვაკლდნენ!“ _ თქვეს მოსულმა სტუმრებმა და ქართული ვარდებით შეამკეს 9 აპრილის ტრაგედიის აღმნიშვნელი მემორიალური დაფა.

სიმბოლურია, რომ ამავე პარკში საფუძველი ჩაეყარა ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მემორიალურ დაფას.

სტუმრებმა და მოსულებმა კიდევ ერთხელ თქვეს ძმობის სადიდებელი, აქვე გამოითქვა აზრი, რომ ქალაქ ბათ-იამში, სადაც ძირითადი ქართველი ებრაელობა ცხოვრობს, ქალაქის ხელმძღვანელობის თავაზიანი ნებართვით, ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს სურამის ქუჩა.

სურამის სტუმრები იყვნენ, როგორც ისრაელის ქალაქ ბათ-იამიდან ჩამოსული ებრაელები, ისე თბილისიდან ჩამოსული ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები.

საღამო გახსნა ამ დიდებული ღონისძიების ორგანიზატორმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ზაურ გომართელმა. საღამოში მონაწილეობდნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი, მწერალი რეზო ამაშუკელი, საქართველოს სახალხო არტისტი ბუბა კიკაბიძე, პროფესორი აბონ ციციაშვილი, ხელოვნებათმცოდნე ოთარ სეფიაშვილი, მწერალი გურამ ბათიაშვილი და გიორგი ხუხაშვილი, პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი და სხვები.

საღამოში მონაწილეობდნენ რაიონის ხელისუფლება, კერძოდ, რაიონის ხელმძღვანელი ბატონი როლანდ მულაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი და ებრაელი ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფაში.

შემდეგ გაიმართა ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობდნენ: სურამის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ვოკალური ჯგუფი (ხელმძღვანელი ს. ლაზარაშვილი), ნორჩი პოეტები ეკა ბაქრაძე და გიორგი ლობჟანიძე, სურამის სამუსიკო სკოლის პედაგოგი ნანა ჯანაშვილი, ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებული ქალთა ვოკალური ტრიო, რაიონის ახალგაზრდულ ცენტრ „იმედთან“ არსებული ვაჟთა ვოკალური ჯგუფი, ხაშურის კულტურის სახლის გოგონათა ვოკალური ჯგუფი ლ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით, ქემფრის სასოფლო კლუბის გამგე ამალია ლომსაძე, რომელმაც ივრითის ენაზე წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“, ბავშვთა მედუდუკეთა ანსამბლი ვ. ღონღაძის ხელმძღვანელობით, სურამელი ახალგაზრდების სახელით სტუმრებს მიესალმა რუსუდან გოგიტიძე, საღამოში მონაწილეობა მიიღო სურამელმა სტუდენტმა მ. ჯანაშვილმა, თბილისის #64 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გია და ზურიკო კრიხელებმა, თბილისის სამუსიკო სკოლის პედაგოგმა ლიკა სეფიაშვილმა, დ. ჯანაშვილის ოჯახურმა დინასტიამ და სხვებმა.

საღამო მიჰყავდა საქართველოს სახალხო არტისტს ქართლოს კასრაძეს.

ჩვენთითქმისმთლიანადმოგვყავსისსაგაზეთოსტატია,რომელიცამმოვლენებს მიეძღვნა, რადგან ვფიქრობთ, აღნიშნული ფაქტის თითოეული ნიუანსიც კი ძალზედ გამოადგება ქართველებისა და ებრაელების ძმობის ისტორიას.

საზეიმო საღამოზე სიტყვით გამომსვლელებმა ბევრი თბილი სიტყვა წარმოთქვეს.

რეზო ამაშუკელი: ძნელია აღელვების გარ-ეშე ილაპარაკო იმაზე, რაც ბოლო ხანებში მოხდა ქართველ და ებრაელ ხალხთა ურთიერთობაში და რაც აქ ხდება. ჩვენ შესანიშნავი მომძე გვყავს ებრაელების სახით, რადგან ამ 26 საუკუნის მანძილზე მათ სიკეთის გარდა არაფერი მოუტანიათ ჩვენთვის. ხოდა, ასე ერთად, ძმურად გვიცხოვრია, სიყვარულში და ერთმანეთის პატივისცემაში გავიტარებია წუთისოფელი და აწიც ასე გვსურს, ვიმეგობროთ, კვლავაც ჩემმა შვილიშვილმა და აბრაამის შვილიშვილმა, თქვენმა და ებრაელთა მონაგარმა საფიცრად უნდა გაიხადოს ტრადიციული საუკუნოვანი ძმობა. ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ ებრაელებთან ურთიერთობა აუცილებელი და საჭიროა ორივე ხალხისათვის, ჩვენი და მათი ძველი ტრადიციების შესანახად და გადასარჩენად. ყველა ებრაელს ვეხვევი და ვკოცნი, თუ დაგვიწყოთ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა.

„ქართველნი ჰურიანი“ - ასე მოიხსენებენ მათ ძველი ქართული წყაროები. ისინი 26 საუკუნის წინათ მოვიდნენ ქართულ მიწაზე და ამ ხნის მანძილზე ისე იცხოვრეს ჩვენს გვერდით, როგორც გონიერ სტუმარს შეჰფერის... მადლიერებითა და სიტკბოებით და როცა აღთქმული მიწის ძახილი ესმათ, გული აქ, ჩვენთან რჩებოდათ, რადგან 26 საუკუნე ერთ ბედს ქვეშ ვიყავით, ერთი ცა გვეხურა და რუსთაველიც ერთნაირად გვაპურებდა.

სულიერ ფასეულობათა მაძიებელ და ამაღლებულ ტრადიციათა დამცველ ერს ჩვენი ეროვნული სიწმ ინდის დაფასებისა და გაფრთხილების ძალაც შესწევთ. წმინდა მიწიდან მოსულებს ქართული მიწის შეცნობის დიდი უნარიც გააჩნიათ. საქართველოს ისტორიამ არ იცის ებრაელი ერის ღალატის არცერთი შემთხვევა... ღალატი კი არა საკუთარივით პატრონობენ ჩვენი ძმობის სიმბოლოდ აღმართულ ჯვრის მონასტერს ისრაელის წმინდა მიწაზე, ესათუთებიან ქართულ ენას, ქართულ ცეკვასა თუ სიმღერას და ჩვენი კულტურისა და სიყვარულის პროპაგანდას ეწევიან მსოფლიოში.

რა გვაერთიანებს? - ბიბლია... ძველებრაულის მადლი ჩაბუდებულია ჩვენს ცნობიერებაში. მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნება საუკუნეების მანძილზე ზნეობის წესად გავიხადეთ. უძველეს დროში ვთარგმნიდით ბიბლიას და „წმინდა წერილად“ - ღვთის ნების გამომხატველად მივიჩნევდით. ჩვენი კავშირი ღრმაა და მყარ ბალავერზეა დაშენებული, ახალი აღთქმა ხომ ძველ აღთქმასაა დაფუძნებული, მისი წიაღიდანაა ამოზრდილი. ქართული

მწერლობის უძველესი ძეგლი ქართველთა მიერ ბიბლიის ზედმიწევნით ცოდნას მოწმობს... ჩვენი მეფეები დავით წინასწარმეტყველის (ებრაელთა მეფის) შთამომავლებად „დავითიანებად“ მიიჩნევდნენ თავს და ეს გვეამაყებოდა ქართველებს, ახლაც გვეამყება, რადგან „ღვთის რჩეული ერი“ მეგობრობას გვეფიცება, ჩვენს სიყვარულს სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით პასუხობს, მაგრამ ამას სხვის დასანახავად როდი აკეთებს, არც ჩვენ არ ვფენთ საქვეყნოდ ჩვენს მეგობრობას. უბრალოდ,ჩვენ ხედავთ ერთმანეთს, გვესმის ერთმანეთისადა დიდი სიყვარული გვაერთიანებს და გვაკავშირებს. ამ სიყვარულსა და და შეკავშირებას გაუმარჯოს!

მ. დანდურაშვილი,

(წიგნიდან „26 საუკუნე“.1989 წ.)

რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი

12-13 მარტს, ხაშურის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა მონრეალის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რამაზ ხარშილაძის სახელობის დია ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ტურნირში, გარდა ადგილობრივი სპორტსმენებისა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 250-მდე სპორტსმენმა. აღნიშნული ტურნირი ტრადიციულია და იგი მომავალი თაობის დაოსტატების გზაზე მართლაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. თუ ამას დავუმატებთ, რომ ლეგენდარული მოჭიდავის დარიგებები, შენიშვნები ერთგვარი მასტერკლასიცაა პატარა მოჭიდავეებისათვის, მაშინ, ამ ტურნირის ფუნქცია კიდევ უფრო იზრდება. ტურნირი შესანისნავად იყო ორგანიზებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურისა და სპორტის სამსახურისა და სასპორტო სკოლის დირექციის მიერ ყველაფერი გაკეთდა, რომ პატარა სპორტსმენებს, სტუმრებს კომფორტულ გარემოში ეგრძნოთ თავი. მათაც არ გააწბილეს მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი და ულამაზესი ილეთებით დაამახსოვრეს ყველას თავი. დარწმუნებული ვართ, ბევრი პატარა მოჭიდავე ხვალ საქართველოს სახელს დაიცავს უმნიშვნელოვანეს ტურნირზე და არც ისაა გამორიცხული ამ პატარებს შორის მომავალი ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონებიც იყვნენ. ჩვენი მუნიციპალიტეტდან ჩემპიონობა მოიპოვეს და საპრიზო ადგილზე გავიდნენ: 2003-2004 წლებში დაბადებულებს შორის როინ გელაშვილი (II ადგილი, 38კგ), ნიკა გოგალაძე (II ადგილი, 42კგ), გიგი ბეჟანიშვილი (III ადგილი, 38კგ), გიორგი ნოზაძე (IIIადგილი, 32კგ). 2005-2006 წლებში დაბადებულებს შორის კი ორი ჩემპიონი გვყვავს – თემურ სულაბერიძე (26კგ) და დანიელ თურმანიძე (29კგ), ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები კი შესაბამისად, გიორგი მჭედლიძემ (29კგ) და დავით გოგალაძემ (23 კგ) მოიპოვეს.

გ. ნოზაძე

ბავშვები ამერიკულ ლიტერატურას ეცნობიან

ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა მოეწყო, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ქართველი მწერლების გარდა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებსაც იცნობდნენ. პედაგოგმა ნინო დოფიძემ მოწვეულ სტუმრებთან და ლიტერატურის მოყვარულ ბავშვებთან ერთად, ამერიკელი მწერლის, მარკ ტვენის ცნობილი ნაწარმოების "ტომ სოიერის" შესახებ ისაუბრეს. განიხილეს ნაწარმოების შინაარსი, მხატვრული მხარე და იდეა. ბავშვები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი. მომავალში სხვა ავტორების ნაწარმოების განხილვა დაიგეგმა.

პარკი ზაფხულისათვის ემზადება

ე.წ. „სასეირნო პარკი“ ქალაქის ყველაზე მყუდრო, მშვიდი და ბავშვებისათვის საყვარელი ადგილი, რომელიც ტაბიძის ქუჩაზე მდებარეობს, გაზაფხულისათვის ემზადება. მიმდინარეობს ხეების შეთეთრება, დარგვა, ტერიტორიის დასუფთავება, მწვანე საფარის განახლება, რათა უფრო მყუდრო და ლამაზი გარემო შეექმნას ხაშურის მოსახლეობას და მის სტუმრებს. აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის დახმარებით ა(ა)იპ "სავანე" ახორციელებს. რომელიც მთლიანად ხაშურის კეთილმოწყობაზე ზრუნავს. სამუშაოები რამდენიმე დღე გაგრძელდება და ქალაქის ბადი მზად იქნება მასპინძლობისათვის.

სურამის IV საჯარო სკოლაში განახლებული სასპორტო დარბაზი ამოქმედდა

სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო სისტემას, რაშიც სკოლების კეთილმოწყობაც იგულისხმევა. ზოგიერთი სკოლა თავიდან აშენდა, ზოგის რეაბილიტაცია განხორციელდა, ხოლო ზოგ სკოლას საჭიროების მიხედვით გაურემონტდა სასპორტო დარბაზები. სურამის IV საჯარო სკოლაში დასრულდა სასპორტო დარბაზის სარემონტო სამუშაოები

და ამ დღეებში იგი საზეიმოდაც გაიხსნა. ლენტის გაჭრის პატივი სკოლის დირექტორს, ალექსანდრე ლომიძეს ერგო. დღეიდან მოსწავლეებს შეეძლებათ, გონებრივ აქტივობებს, განახლებულ დარბაზში ფიზიკურიც შეუთავსონ და ჩვენს ქვეყანას განათლებული და ჯანმრთელი თაობით დაამახსოვრონ თავი.

მნიშვნელოვანი ხელნაწერის ისტორია

17 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მუზეუმში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლიტერატურათმცოდნე მურად მთვარელიძემ ჩაატარა ლექცია, რომელიც მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერს ეხებოდა.

ხელნაწერს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს, იგი სარდიონ და მაკინე ამირეჯიბების ოჯახს ეკუთვნოდა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო. ოჯახი ქართლში, ქარელთან ახლოს, სოფელ საღოლაშენში ცხოვრობდა და იქ თავს იყრიდა იმ დროინდელი მოწინავე საზოგადოება, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. ოჯახის დიასახლისი მაკინე ამირეჯიბი ლიტერატურაზე შეყვარებული ადამიანი იყო, თავისი ხელით წერდა დღიურს და შეჰქონდა ის ლექსები, რომლებზეც შემდეგ სიმღერებს აჟღერებდა. მაკინე ამირეჯიბის ხელნაწერები თავისი მნიშვნელობით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთი ძვირფასი ექსპონატია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

ამ ადგილებზე!

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

საბჭოთა ჯავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა,რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.